სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N G1218-052502

ქ. თბილისი **25 მაისი 2018 წ.**

ერთის მხრივ, **სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის **ნინო თანდილაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ალფალაბი" (ს/კ 205202029), წარმომადგენელი მისი დირექტორის მარინე გომართელის სახით** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" -სათვის, **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNDP) -''პროექტის შავ ზღვაში გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება - ფაზა II'' (N1218) გრანტის ფარგლებში - მემბრანული ფილტრების** (CPV CPV-38437000 - ლაბორატორიული პიპეტები და აქსესუარები), **სეროლოგიური სტერილური პიპეტების** (CPV-38437000 - ლაბორატორიული პიპეტები და აქსესუარები), **ISO სტანდარტის ბოთლების** (CPV- 39225710 - ბოთლები) და **მინის ცილინდრული სინჯარების** (CPV- 33793000 - ლაბორატორიული მინის ჭურჭელი) შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1104,5 (ათას ასოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNDP) -"პროექტის შავ ზღვაში გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება - ფაზა II" (N1218).

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამარ მაღლაკელიძე.**

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 მიწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება და მიწოდება **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც მდებარეობს დ. აღმაშენებლის გამზირი N150-ში.**

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის და სტანდარტების შესაბამისი საქონელი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერას და **საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მარინე არაბიძე და ამავე სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი თეა წულაია.**

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 ივლისის ჩათვლით.**

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას

ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“	შპს „ალფალაბი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.	ს/კ 205202029.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	მის: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. N25. ბ. 47.
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	კოდი: **TBCBGE22**
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა **GE38TB1140436020100003**
ტელ: 243 95 45	ტელ: **+995 2496000**
ნინო თანდილაშვილი სააგენტოს უფროსი	მარინე გომართელი დირექტორი

შეთანხმებულია:

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
	2	3	4	5	6
1	მემბრანული ფილტრი (47მმ. დიამეტრი ფორები-0.45 მიკრონი)	3847000	50	1,5	75
2	მემბრანული ფილტრი (47მმ. დიამეტრი ფორები ზომა-0.45 მიკრონი, სტერილური ინდივიდუალურად შეფუთული)	3847000	300	2	600
3	სეროლოგიური სტერილური პიპეტი ერთჯერადად შეფუთული - 1 მლ	38437000	150	0,35	52,5
4	სეროლოგიური სტერილური პიპეტი ერთჯერადად შეფუთული - 2 მლ	38437000	100	0,45	45
5	სეროლოგიური სტერილური პიპეტი ერთჯერადად შეფუთული - 10 მლ	38437000	50	0,75	37.5
6	პეტრის ფინჯანი ერთჯერადი სტერილური 90x14	33793000	500	0,34	170
7	ISO სტანდარტის ბოთლი - 250 მლ	39225710	3	13	39
8	ISO სტანდარტის ბოთლი - 500 მლ	39225710	3	16,5	49.5
9	სინჯარა მინის ცილინდრული 14-16 მლ	33793000	30	1,2	36
	სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით			**1104,5 (ათას ასოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარი**	

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

ნინო თანდილაშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „ალფალაბი”

მარინე გომართელი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „ალფალაბს“ შორის 2018 წლის 25 მაისს №G**1218-052502** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ნინო თანდილაშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ მარინე არაბიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ნიკოლოზ ქართველიშვილი

_____ თამარ მაღლაკელიძე

_____ თეა წულაია

_____ ზვიად მანჯგალაძე